ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 10/01/2013-1

ქ.თბილისი 10 იანვარი 2013 წ

შ.პ.ს. "პრინტ-ექსპრესი" მისი დირექტორის **დავით კაპანაძის** სახით, (შემდგომში შემსრულებელი) მეორეს მხრივ შპს "სახხერის კინო", მისი დირექტორის **მაკა ნებიერიძის** სახით (შემდგომში დამკვეთი) ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ამ ხელშეკრულების თანახმად "შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას დაბეჭდოს და მიაწოდოს დამკვეთს მის მიერ დაკვეთილი პრიდუქცია.

1.2. "დამკვეთი" აუნაზღაურებს "შემსრულებელს" შესრულებული პოლიგრაფიული მომსახურების ღირებულებას, ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით.

2. ხელშეკრულების პირობები

2.1. ამ ხელშეკრულების თანახმად სამუშაოს დამკვეთი შემსრულებელს უკვეთავს პოლიგრაფიულ მასალას.

2.2. შემსრულებელი ასრულებს დაკვეთილ სამუშაოს და მიაწვდის დამზადებულ პროდუქციას 3 სამუშაო დღის ვადაში.

2.3. დამკვეთი უნაზღაურებს შემსრულებელს შესრულებული სამუშაოს საფასურს, ავნსად შეკვეთის მიცემის თანავე.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობები

3.1. მხარეთა ვალდებულებები:

ა) მხარეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად შეასრულონ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) "შემსრულებელი" ვალდებულია მიაწოდოს დამკვეთს ხარისხიანი პროდუქცია;

გ) "შემსრულებელი" ვალდებულია აცნობოს დამკვეთს სამუშაოს შესრულების პროცესში რაიმე პრობლემის არსებობის ან სავარაუდოდ მისი წარმოშობის შესახებ, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოს შესრულების გაჭიანურება;

დ) დამკვეთი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური;

3.2. მხარეთა უფლებები:

მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

4. ხელშეკრულების მოქმედება

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულიად შესრულებამდე.

5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:

ა) ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) ერთ-ერთი ან მეორე მხარის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მათ არ ჰყავთ უფლებამონაცვლე;

5.2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

5.3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

6. დავის გადაწყვეტა

6.1. მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა არბიტრაჟს, რომელსაც ქმნიან მხარეები, ხოლო მესამე წევრს ნიშნავს უკვე დანიშნული ორი წევრი.

7. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსრულებელი"	"დამკვეთი"
შ.პ.ს. პრინტ-ექსპრესი"	შპს "საჩხერის კინო"
ს/კ 208217945	ს/კ 439392239
მისამართი: ქ.თბილისი, ქინძმარაულის შესახ. №11/2	მისამართი: ქ.საჩხერე თავისუფლების ქ. №9

დირექტორი ________ დ. [illegible]პანაძე

დირექტორი ________ [illegible] ნ[illegible]ერიძე